

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო
სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი
"საზოგადოება ცოდნის"

სტუდენტური თვითმმართველობის დებულება

დამტკიცებულია 2012 წლის 28 დეკემბერს
თვითმმართველობის კრების მიერ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "საზოგადოება ცოდნის" (შემდგომში უსდ) სტუდენტური თვითმმართველობა არის საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების წესით ფაკულტეტებზე არჩეული სტუდენტთა წარმომადგენლობითი დამოუკიდებელი ორგანო;
2. სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონით "უმაღლესი განათლების შესახებ", უსდ-ს დებულებითა და წინამდებარე დებულებით.
3. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უსდ-ს რექტორთან და საფინანსო სამსახურის უფროსთან.
4. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ტარდება სამ წელიწადში ერთხელ მისი უფლებამოსილების გასვლამდე არანაკლებ 30 დღის განმავლობაში.
5. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ საჯაროა.
6. თვითმმართველობის მისამართია: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. 47

მუხლი 2. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები

1. ხელი შეუწყოს სტუდენტთა უფლებების დაცვას;
2. დახმარება გაუწიოს სტუდენტებს სწავლის პერიოდში, პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში;
3. უზრუნველყოს სტუდენტთა მონაწილეობა უსდ-ს სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში;
4. გეგმავს სტუდენტთა სადამოებს, დებატებს, შეხვედრებს საპატიო სტუმრებთან;

მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება

1. უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები ფაკულტეტის, უსდ-ს მართვის სისტემებსა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელსაც წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
2. მოაწიოს შეხვედრები, ლიტერატურული სადამოები, სპორტული, კულტურული, გასართობი ღონისძიებები;
3. უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უსდ-ს მართვაში;
4. წინამდებარე მიზნების მისაღწევად ახორციელებს უმაღლესი განათლების შესახებ კანონით, უსდ-ს დებულებითა და ამ დებულებით გაუთვალისწინებლ სხვა უფლებამოსილებას.
5. სტუდენტურ თვითმმართველობას გააჩნია მუდმივი კავშირი სხვა უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტურ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო სტუდენტურ გაერთიანებებთან.

მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოები

თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:

- ა) თვითმმართველობის კრება;
- ბ) თვითმმართველობის თავჯდომარე;
- გ) სტუდენტთა საერთო კრება.

მუხლი 5. თვითმმართველობის კრება

1. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც შედგება სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული ყველა წევრისაგან.
2. განსაზღვრავს სტუდენტური თვითმმართველობის ძირითად პრიორიტეტებსა და ამოცანებს წლის განმავლობაში.
3. იკრიბება ყოველი თვის ბოლო კვირას, სასწავლო წლის მანძილზე.
4. განიხილავს და ამტკიცებს თვითმმართველობის საქმიანობისათვის აუცილებელ პროგრამებსა და პროექტებს;
5. შეიმუშავს და დაამტკიცოს დებულება და შეიტანოს ცვლილებები დელეგატთა სრული შემადგენლობის 2/3-ით.

მუხლი 6. თვითმმართველობის თავჯდომარე

1. თვითმმართველობის თავჯდომარე აირჩევა სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების მიერ 3 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით, სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეულ დელეგატთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით.
2. იმ შემთხვევაში, თუ დასახელებულ კანდიდატთაგან ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა საკმარისი რაოდენობა, ინიშნება მეორე ტური იმ პირველი ორი კანდიდატისთვის, რომელმაც ყველაზე მეტი ხმათა რაოდენობა დააგროვა. იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურშიც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა საკმარისი ხმათა რაოდენობა, ხუთი დღის ვადაში ინიშნება ხელახალი არჩევნები.
3. თვითმმართველობის თავჯდომარე:
 - ა) წარმოადგენს თვითმმართველობას უსდ-ს ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე;
 - ბ) კოორდინაციას უწევს თვითმმართველობის ორგანოთა მუშაობას;
 - გ) იწვევს თვითმმართველობის სხდომებს;
4. წარადგენს თავჯდომარის მოადგილის კანდიდატურას;
5. წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას ორგანიზაციებთან, უწყებებთან, მესამე პირებთან ურთიერთობის დროს;
6. თავჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყდება:
 - ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
 - ბ) დებულების ან საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევის შემთხვევაში

მუხლი 7. თვითმმართველობის ფინანსები და კონტროლი

1. თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:
 - ა) ნებაყოფლობითი შემოწირულობები;
 - ბ) თვითმმართველობის ძირითადი და მიზნობრივი პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები;

tsodna.edu.ge